# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 აგვისტო 2004 №191 (2212) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ზვიადაურმა საქართველოს ნაკრები ოლიმპიური გვირგვინი დაადგა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიადაურის ბედნიერება: საქართველო ბედნიერია



REUTERS ათენიდან

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



დღეს დილიდან ძიუდოისტთა ტურნირზე დიდიან-პატარიანად ყველანი მოვგროვდით. აქ იყვნენ როგორც საქართველოდან ჩამოსულნი, ისე ათენში მცხოვრები ქართველობა. ყველანი ერთ სექტორში დასხდნენ და თეთრ-წითელი დროშებით იქაურობა გადაფარეს. გუმანით ყველანი ზურაბ ზვიადაურის ჩემპიონობას ვგრძნობდით. მე წვით და დაგვით მოპოვებულ ოლიმპიაში გასამგზავრებელი ბილეთიც კი ფუჭად დამრჩა. არადა, ოლიმპიაში ჩასვლა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ როცა გუმანი ძიუდოსკენ მექაჩებოდა, რა მეანტიკურებოდა. თან სწორედ ამ დილით გამახსენდა· აქ გამომგზავრებამდე საქართველოს პატრიარქთან ჩვენი ოლიმპიელების სტუმრობა. მაშინ შეხვედრის დაწყება და კოკისპირული წვიმა ერთი იყო, რაც პატრიარქს კარგად ენიშნა. ეს შხაპუნა წვიმა, რომელიც არემარეს მოეფინება, იმას ნიშნავს, რომ ღმერთი ციდან კურთხეულ წყალს გაპკურებთო.

ჰოდა, დაირაზმა ქართველობა და ზურაბ ზვიადაურის საგულშემატკივროდ მოვიდა. მათ ჯერ ჩვენს ჯილასთან დაჭიდებული რუსი ტაოვის გულშემატკივართა ხმა გადაფარეს, მერე ფრანგი დემონფოკოსი თუ ინგლისელი გორდონისა და ბოლოს იაპონელთ იზუმისა და მისი ქომაგების ჯერიც დადგა.

მართალი რომ გითხრათ, ზვიადაურის გამარჯვების იმედი კი მქონდა, მაგრამ ტრიბუნაზე შეკრებილი მისი გულშემატკივრების ომახიანობისა კი მეეჭვებოდა, რაკილა ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები აქ ამ საქმეში ჩემპიონები არიან. ისეთ ყიჟინას დასცემენ ხოლმე, რომ ყველა ერთად აღებულ დანარჩენ ქომაგთა ხმას ახშობენ, მაგრამ გუშინ ამ ორი ქვეყნის თეთრ-წითელი დროშების ფრიალში ჯვრიანმა იმარჯვა. რაც მთავარია, თავად ზურაბ ზვიადაურმა იმარჯვა!

ზვიადაურისა და იზუმის ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სახელგანთქმული იამასიტა მობრძანდა. სწორედ იმ დროს, ქვემოთ, ტატამის სიახლოვეს ჩვენი კოლეგა ალექსანდრე კოტორაშვილი ტრიალებდა. იამასიტამ თვალი მოჰკარა თუ არა, ზემოდან გადმოსძახა, „კოტორ“, და მასთან შესახვედრად დათვივით ჩამობაჯბაჯდა. მერე ვეება მკლავებში მოიგდო. ამის შემყურე უქმად ხომ არ გავჩერდებოდი და ვაჩხაკუნე და ვაჩხაკუნე ფოტოაპარატი. ეს რომ იამასიტამ დაინახა, მე მუშტი აღვმართე და ვანიშნე, მაგარი ხარ-მეთქი. ამ ჟესტზე ახლა კაი ძველი მეგობარივით მე მებღლვნა, ხელი გადამხვია და კოტორას ანიშნა, სურათი გადაგვიღეო. ბოლოს მე ისევ მუშტი აღვმართე, ჯიგარი ხარ-მეთქი. იმანაც, მგონი, გაიგო და მიმახვედრა, მე კი არა, ზვიადაურია ძალიან მაგარი და მოიგებსო. რამდენჯერმე გაიმეორა „ზვიადაური ჩემპიონ“ და ცერა შემართა.

აბა, იამასიტას დაეჯერება, თუ დაეჯერება, თორემ ჩვენი გუმანი რა მოსატანია. თუმცა, გუმანი ხომ რეალობას ემყარებოდა. რეალობა კი ის იყო, რომ ზვიადაური შარშანწინ და შარშანაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეორე იყო. შარშან სულაც შემთხვევით დაკარგა ოქროს მედალი, რომელიც უკვე ჯიბეში ედო, გუშინ კი, როდესაც ბოლოს სამართალმა პური ჭამა, ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონი გახდა — პირველი ოლიმპიური ჩემპიონი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში და წარმოიდგინეთ ზღვა სიხარული და ეიფორია. ზვიადაურის გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს დროშა რომ აღიმართა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი გაისმა, კოტორას საქმე დაავიწყდა და ღაპაღუპით ცრემლები გადმოსცვივდა. სამაგიეროდ, მის კოლეგებს არ დავიწყებიათ საქმე და მის დანახვაზე საპატიო კვარცხლბეკს ობიექტივები მოაცილეს და კოტორას დაუმიზნეს...

მერე იყო მედალოსანთა საპატიო წრე, დარბაზის ყველა კუთხეში გაჩერება, უამრავი ფოტო თუ ტელეობიექტივის წინ პოზირება. და, რაღა თქმა უნდა, ტრადიციული, რამდენიმეწუთიანი პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციაზე იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. მათ შორის სიმრავლით გამოირჩეოდა რუსობა, მერე იაპონელები და ბლომად ქართველები. და სადაც ქართველობაა, იქ ხომ მობილურების გაუთავებელი წკრიალიცაა. პირველი ზარი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის ჯიბეში გაისმა. იმანაც არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ ტელე და ფოტოობიექტივების წინ მობილური ჩემპიონს გადასცა, თბილისიდან ზურაბ ჟვანია გირეკავსო... ამ დროს ბრინჯაოს პრიზიორი, რუსი კასანბი ტაოვი ლაპარაკობდა. ამბობდა, ზვიადაურის ძალა აქამდეც ვიცოდი. ვიცოდი, რომ აშკარად ჩემზე ძლიერია. მან თავისი სიძლიერე ახლაც დაამტკიცა. მე კი ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო, მაქსიმუმი გავაკეთე, მაგრამ ვერას გავხდიო.

მერე იაპონელმა ილაპარაკა: „გული მწყდება, რომ ფინალში დავმარცხდი, ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაჩემია. ის მუდამ მამხნევებს და ახლა გული მწყდება, რომ იმედები ვერ გავუმართლე. თუმცა, მაინც კმაყოფილი ვარ, სულ უმედლობას ვერცხლის ჯილდო სჯობს. ოქროს მედალს კი მომავალში მაინც მოვიპოვებ. ეს ჩემი უდიდესი მიზანია“.

ბოლოს პრიზიორები პრესკონფერენციიდან დოპინგკონტროლზე გააქანეს. ჩვენ რამდენიმე წუთით ზურაბ ზვიადაური დაგვიტოვეს ტრადიციული კითხვა-პასუხისთვის:

— რას გრძნობთ ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა და ოლიმპიური ჩემპიონი ხართ?

— ეს ჩემი პირველი ოლიმპიური თამაშებია. ძალიან გახარებული ვარ ამ გამარჯვებით. ეს ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის დიდი წარმატებაა. ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მთელი საქართველო გავახარე.

— ყველაზე ძნელი ბრძოლა დემონფოკოსთან გადავიტანე, მთელი ხუთი წუთის განმავლობაში ვგრძნობდი, რომ ბრძოლა ფრედ დამთავრდებოდა და დამატებითი დროის დანიშვნა გახდებოდა საჭირო. მერე, როცა დამატებითი დრო დაიწყო, ახლა იმას ვგრძნობდი, რომ აუცილებლად დავამარცხებდი მეტოქეს. უფლება არც მქონდა, რომ არ მომეგო.

— საბოლოოდ მაინც როდის იგრძენით, რომ ჩემპიონი გახდებოდით?

— ეს ფინალურ შეხვედრამდე ვიგრძენი. როცა ნახევარფინალური ბრძოლა მოვიგე.

— გუშინ თქვენმა ბიძაშვილმა ამავე დარბაზში საბერძნეთის სახელით ოქროს მედალი მოიპოვა. რა გრძნობა დაგეუფლათ ამასთან დაკავშირებით?

— ის ჩემი ბიძაშვილი არ არის. უბრალოდ, ერთ დროს ერთად ვცხოვრობდით...

აქ ზურაბ ზვიადაურმა პაუზა გააკეთა. ამ დროს დარბაზიდან ვიღაცამ ქართულად სიტყვა შეაშველა, მაგრამ გვიხარია, რომ ქართველიაო.

— დიახ, მიხარია, რომ ქართველია და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, რასაც ვულოცავ...

— თუ საიდუმლო არ არის, რა გითხრათ ახლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა?

— ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ჩემპიონობა მომილოცა. მითხრა, მე და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შენს ბრძოლას ტელევიზორით ერთად ვადევნებდით თვალს. მთელი სულით და გულით გქომაგობდით. როცა ჩემპიონი გახდი, ძალიან გაგვიხარდა. მინდა პრეზიდენტის სახელით მოგილოცო ეს დიდი წარმატება...

ეს თქვა კეისარივით გვირგვინოსანმა ზურაბ ზვიადაურმა და ისიც მოგვტაცეს, დოპინგკონტროლზე გვიანდებაო.

ერთი სიტყვით, ნესტორ ხერგიანმა თუ ბრინჯაოს ხანიდან ვერცხლის დროებაში გადაგვიყვანა, ზურაბ ზვიადაურმა უმალ ოქროს დროებაში ამოგვაყოფინა თავი!

იქნებ ეს რენესანსის დასაწყისია?!



ზურაბ ზვიადაურს ყველაზე მეტად ფრანგი დემონფოკო ემძიმა



ღმერთო, რა ბედნიერებაა! ღმერთო, რა სიხარულია! ღმერთო, რა სიამაყეა! ნაღდია, ნამდვილია ეს განცდა, ეს ამოძახილი. ჩვენი ბიჭი ოლიმპოს მწვერვალზეა! ჩვენც ოლიმპოს მწვერვალზე ვართ! მთელი დანარჩენი მსოფლიო სადღაც დაბლაა, ღრუბლებს ქვემოთ, ხოლო ღრუბლები ზურაბ ზვიადაურის კოჭის სიმაღლეზე დაცურავენ, დღეს ჩვენ ყველანი ზევსთან ვართ დაპატიჟებულნი, ზევსი გვმასპინძლობს!

კიდევ რა არის, იცით, ბედნიერება? ჩვენ, ამ ქვეყნის შვილები, ქომაგები და ჟურნალისტები ორ „ზ"-ს ვწერთ და ეს ორი „ზ" არც ზინედინ ზიდანია და არც ვინმე სხვა. ჩვენ ჩემპიონზე ვწერთ და ეს ჩემპიონი არც ლენოქს ლუისია და არც იან ტორპი. ჩვენ ხალხზე ვწერთ და ეს ხალხი არც საბერძნეთშია საძებნელი და არც სადმე სხვაგან.

ეს ორი „ზ" ჩვენი ზურაბ ზვიადაურია!

ეს ჩემპიონი ჩვენი ზურაბ ზვიადაურია!

ეს გახარებული ხალხი ჩვენ ვართ!

წეხელ, საქართველოს დროით 19 საათსა და 12 წუთზე მსოფლიომ საქართველოს ჰიმნს უსმინა და პლანეტას საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა გადაეფარა.

# დიდება ზურაბ ზვიადაურს!

# დიდება საქართველოს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველომ ფეხი აიდგა
# ათი ნაბიჯი ზვიადაურობამდე



მერაბ რატიშვილი

**ნაბიჯი 1.** 1996 — საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის სპორტის სასახლე. 15 წლის ბავშვი, უცნობი ახმეტელი, გრძელი ხელებით და ბუნებით თანდაყოლილი, ეფექტური, მაგრამ ჯერაც დაუხვეწავი გრძელი მოგვერდით. მესამე ადგილი. „ამას რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მაგონდება" — თემურ ხუბულური, ქართული და მსოფლიო ძიუდოს ვარსკვლავთ-ვარსკვლავი.

**ნაბიჯი 2.** 1997 — საერთაშორისო ტურნირი. სტამბოლი. პირველი გასვლა უცხოეთში კაცთა შეჯიბრებაზე. ჯამში ორ წუთში დამარცხებული ხუთი მეტოქე და მართლა ბავშვურად ნაგებული ფინალი. „თქვენ თავად თუ იცით, ვინ გეზრდებათ?" — პროფესორი მეთინ ოზქანი, მსოფლიოს საუკეთესო არბიტრთაგანი. კითხვის ადრესატი კი სტამბოლის ტურნირზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, ანუ ამ სტრიქონების ავტორია. ბავშვს კი ნაგებული ფინალის ბოლომა ახრჩობს, არავინ და არაფერი აინტერესებს. ერთს კი კითხულობს: ამ სტამბოლში ყველას ეფენდი რატომ ჰქვია?

**ნაბიჯი 3.** 2000 — მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ტუნისი. უპირობო და დამაჯერებელი გამარჯვება, პირველი სერიოზული საერთაშორისო ტიტული. „ამ ბიჭმა თუ არ იზარმაცა, ნაღდი ოლიმპიური ჩემპიონია" — თავად ოლიმპიური ჩემპიონი და საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

**ნაბიჯი 4.** 2001 — მსოფლიოს ჩემპიონატი. მიუნხენი. სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით გავლილი წინასწარი შეხვედრები. ხელების ფშვნეტა ოქროს მოლოდინში და... გამოუცდელობის თუ უყურადღებობის გამო, თითქმის მოგებული ფინალის მერე ოქრო ფრანგ დემონფოკოს მიაქვს.

**ნაბიჯი 5.** 2003 — მსოფლიოს ჩემპიონატი. ოსაკა. ამ ჩვენს ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯები ხშირად ერთმანეთს ჰგავს. ფინალი ჩვენთვის ისეთივეა, კორეისთვის განსხვავებული — ამ ქვეყნის ძიუდოს მდიდარ მარაგს ამჯერად ტაი ჰვანგ ჰი ამდიდრებს.

**ნაბიჯი 6.** 2004 წლის 18 აგვისტო, დაახლოებით 12:45 თბილისის დროით. იტალიელი ლეპრე. ყურადღება! ამ ნაბიჯის გადადგმისას იწყება ილეთთა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. პირველი კი მადლიანი ქართული კისრულია, რომლის წინაშეც ათენში ოდესღაც მოარული უძლეველი ჰერაკლეც კი ვერას გახდებოდა.

**ნაბიჯი 7.** იქვე. ერთი საათის შემდეგ. რუსის დროშის ქვეშ მოასპარეზე ადილე ტაოვი. სამფაზა გრძელი მოგვერდი. ვინაა ამის გამძლები?!

**ნაბიჯი 8.** იქვე. ნახევარი საათის შემდეგ. ფრანგი დემონფოკო, ვინც ერთხელ გაიხარა ჩვენზედ მიუნხენში. ჩამორჩენა, რომელიც ხასიათის სიმტკიცით და ჭკვიანური ბრძოლისუნარიანობით, ხაზი გავუსვათ — ჭკვიანური და არა ანგარიშმიუცემელი ბრძოლისუნარიანობით გაბათილდა. ბევრჯერ ყოფილა, დაწინაურებული ძიუდოისტი დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე გაეფრთხილებინოს ერთი შეხედვით მიუკერძოებელ, მაგრამ გულის სიღრმეში დიდი ქვეყნის მიმართ თუნდაც ოდნავ კეთილგანწყობილ მსაჯს? ამოვისუნთქეთ! ჩასუნთქვას კი მეტოქის ფეხში შესვლა, ხელის დაქაჩვა, ბულასავით კისრის მძლავრად მირტყმა მოჰყვა... ეს ხომ საოლიმპიადო ტელეეთერიდან წამოსული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიტყვების ანალოგია — გინდა „წისქვილი" დაარქვი, გინდა — „მელნიცა".

**ნაბიჯი 9.** იქვე. 18 საათი თბილისის დროით. ბრიტანელი გორდონი. ამ შავ ბიჭს ეტყობა, უფრო იმაზე ფიქრობს, მეტოქეს ჩავლება არ მისცეს და ფანდი არ გააკეთებინოს. მერე მადა ეხსნება და მეტოქეს იმ ილეთზე აგდებს, რომელიც ამ უკანასკნელს ძალიან არ უყვარს. დაწინაურებულს კი შიში ეპარება, ნუთუ მართლა ვიგებო და ისეთ შეცდომებს უშვებს, რომელთა გამოც საქართველოს ძიუდოს დარბაზებში მოვარჯიშე მოწაფეებს ერთი კვირა აღარ უშვებს ვარჯიშზე მცოდნე, მაგრამ შრომადაუფასებელი მწვრთნელი. მართალია ეს მწვრთნელი — შეცდომები გორდონისთვის შერკინებიდან მოხსნად და დაკარგულ ფინალად ფასობს.

**ნაბიჯი 10.** იქვე. 18:45 თბილისის დროით. თუ ქართველი ხარ და არ გინდა აღიარო — უმადური ხარ, თუ უცხოელი ხარ და არ გინდა დაინახო — მაშინ მხედველობა გამოისწორე — ასეთი გდება ათენის ოლიმპიადაზე ჯერ არ გაკეთებულა. ქართული ჭიდაობის უბრწყინვალესი მარგალიტი — ბრუნი, ილეთი, რომელიც დღემდე ერთი კაცის სახელთანაა გაიგივებული. „შენი ჭირიმე, ჩემი ფანდი გააკეთა!!!" — არ მომისმენია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გუშინ ამას აუცილებლად იტყოდა დიდი შოთა ჩოჩიშვილი — ჯეელობაშივე ლეგენდად ქცეული ფალავანთა ფალავანი.



# ნაბიჯი მეათე: არნახული ოქროს ნაბიჯი





ღირსეული სიხარული, გრძნობათა ზომიერი გამოვლენა, ზეაღმართული მარჯვენა და მილიარდობით ადამიანისთვის ათენიდან გაშვებული უტყვი გზავნილი — პირველი ვარ! ემოციისგან მუშტად შეკრული მარცხენა და წამიერად დახუჭული თვალები.

რამ გაგირბინა, ბიჭო, ამ დროს თვალწინ? შენმა მშობლიურმა, ბოლო დროს გატანჯულმა და გაუბედურებულმა, მაგრამ მარად ამაყმა და ლამაზმა ახმეტამ? მშობლებმა, რომლებიც მართლა ბოლო ლუკმას იკლებდნენ და სანახევროდ მშივრები რჩებოდნენ, რათა შენ არ დარჩენილიყავი მშიერი? ახმეტის დარბაზმა, სადაც ზედ გადაგყვა და ძიუდოს დიდ გზამდე მიგიყვანა შენმა აღმზრდელმა პედაგოგმა გუგული აბრამიშვილმა? შენგან დიდი მოჭიდავის გამომთლელმა და დიდ ჩემპიონად ჩამომყალიბებელმა შოთა ხაბარელმა, რომლის ალალი, ქართლური, გულიდან ამოსული ღრიალი ისმის მთელს დარბაზში?! დიდმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა, რომელმაც პირველი ნახვისთანავე დაგილოცა გზა ძიუდოში და შენი ჭიდაობის მნახველს სიხარულით აუთამაშდებოდა კეთილი თვალები? თბილისის ძიუდოს დარბაზმა, რომელიც ბოლო წლებში შენთვის სახლიც იყო და სამსახურიც და რომლის მიდამოებში ორიოდ თვის წინ გაქნეულმა დანამ კინაღამ წერტილი დაუსვა შენს უბრწყინვალეს კარიერას? შენმა ნათესავმა ჯარჯი ზვიადაურმა, რომელმაც ზუსტად 24 საათის წინ და ზუსტად მაგ ადგილზე საბერძნეთს აღირსა აქამდე უნახავი — ძიუდოს ოლიმპიური ოქრო?

თუმცა, ვინ იცის, რა იფიქრა ამ დროს 23 წლის ქართველმა ბიჭმა. ალბათ ის თავად იტყვის ამას, ან არც იტყვის არასდროს და გულში შეინახავს, ისევე, როგორც ბევრ რამეს ინახავს.

მე ერთი რამ ვიცი, ზემოჩამოთვლილი ათი ნაბიჯი უმნიშვნელოვანესია იმ მრავალთაგან, რომელმაც შექმნა ჯერ არნახული კაცი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. საქართველო! შენ ამაყი ხარ, რადგან გყავს ასეთი შვილი. ჩემო ქვეყანავ, შენ აღარავინ ჩაგთვლის ხელმოცარულად, არშემდგარად და ნაკაცარად, რადგან შენ შვი ვაჟკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერება არასდროს გრძელდება, ბედნიერება ის რამდენიმე წუთია, როცა გავიწყდება სიკვდილი და ავადმყოფობა, ომი და ყველანაირი გასაჭირი. გუშინ საღამოს, როცა გამარჯვებულმა ზურაბ ზვიადაურმა ხელი აღმართა, ჩვენ ბედნიერების წუთები გვერგო – ბედნიერების და სიამაყის, რაკი ეს არ იყო ერთი კაცის, ერთი ოჯახის ან თუნდაც მხოლოდ ქართული სპორტის გამარჯვება. ეს იყო ერის გამარჯვება და როცა ერი ბედნიერია, იმ წუთებს ვერაფერი შეედრება.



# ავთანდილ-ზურაბ-ზვიადო. სახემშვიდო და არაზვიადო. შენ გენაცვალოს სარბიელი! ჩამოასხით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


დავით ციმაკურიძე
ჰელსინკი, 1952


მზია ჯუღელი
ჰელსინკი, 1952


რაფაელ ჩიმიშკიანი
ჰელსინკი, 1952


გივი კარტოზია
მელბურნი, 1956


მირიან ცალქალამანიძე
მელბურნი, 1956


რობერტ შავლაყაძე
რომი, 1960


ავთანდილ კორიძე
რომი, 1960

# ზურაბ ზვიადაური

## ახალი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი




ნუგზარ ასათიანი
ტოკიო, 1964


ვაჟა კაჭარავა
ტოკიო, 1964


ვიქტორ სანეევი
მეხიკო, 1968; მიუნხენი, 1972; მონრეალი, 1976


რომან რურუა
მეხიკო, 1968


ლევან თედიაშვილი
მიუნხენი, 1972; მონრეალი, 1976


შოთა ჩოჩიშვილი
მიუნხენი, 1972


ზურაბ საკანდელიძე
მიუნხენი, 1972


მიხეილ კორკია
მიუნხენი, 1972


ვიქტორ კრატასიუკი
მიუნხენი, 1972


ალექსანდრე ანპილოგოვი
მონრეალი, 1976


ქეთევან ლოსაბერიძე
მოსკოვი, 1980


ვახტანგ ბლაგიძე
მოსკოვი, 1980


შოთა ხაბარელი
მოსკოვი, 1980


ნინო სალუქვაძე
სეული, 1988


დავით გობეჯიშვილი
სეული, 1988


ვლადიმერ აფციაური
სეული, 1988


გელა კეტაშვილი
სეული, 1988


ვლადიმერ გოგოლაძე
სეული, 1988


დავით ხახალეიშვილი
ბარსელონა, 1992


კახი კახიაშვილი
ბარსელონა, 1992


ლერი ხაბელოვი
ბარსელონა, 1992

ჩოგბურთი

# ოლიმპიური დამწვრობა

## ფედერერმა სამშობლოს ოქრო ჩამოართვა

17 აგვისტო

ოლიმპიური ჩოგნაობის უმთავრესი სენსაცია ამ დღეს გამოცხვა. უფრო სწორედ — ამ დღეს ის თონიდან ამოიღეს, თორემ ცხობით ის უკვე მანამდე კარგა ხნის განმავლობაში ცხვებოდა. კაცთა ამქრის მრავალყაიდა პირველოსანმა, წლეულს დიდი მუზარადის ორი, მასტერსსერიის სამი, ხოლო ჯამში რვა ტიტულის მომხვეჭმა როჯერ ფედერერმა, ჩანს, ამდენ ჩოგნიქნევას ველარ გაუძლო და 18 წლისა და მსოფლიო რეიტინგსიის 79-ეადგილოსან ჩეხ ტომაშ ბერდიხს სამსეტიანი განდაგანის შედეგად 6:4, 5:7, 5:7 დანებდა. ეს როჯერის 64-ე საამსეზონო შეხვედრა გახლდათ და ეგებ ამ მარცხზე მეტად ის იყოს გასაკვირი, რომ 23 წლის შვეიცარიელი წლეულს მხოლოდ მეექვსედ იძლია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, უსახელო მეტოქესთან წაფორხილებამ როჯერს ხასიათი ისე წაუმურდლა, რომ მოგვიანებით თვისტომ ივ ალეგროსთან ერთად საწყვილაოდ გასულმა ჰინდუ მეჩოგნეებთან — ლეანდერ პაესსა და მაჰეშ ბჰუპათისთანაც დათმო 2:6, 6:7 (7:9).

აბა, რა უნდა გითხრათ, ეტყობა დათარსული დღე მქონდაო, იძახდა წყვილაობის შემდეგ როჯერი, თუმც იმავდროულად არც იმას უარყოფდა, რომ ბერდიხის წინააღმდეგ არც მოწოდება წაუვიდა, არც ხელწალმები, არც ხელუკულმები და კორტზეც სათანადოდ ვერ მოძრაობდა. ცნობისთვის — ამ მატჩში ფედერერმა 59 უნებლიე შეცდომა დაუშვა, 10-ჯერ ორმაგად მიჰქარა და მხოლოდ 19 მომგებიანი დარტყმა მოაქუჩა.

ისე, ჩვენ შორის თუნდ ნუ დარჩება და, პირველოსნის თავს რომ რაღაც ისე ვერ იყო, უკვე პირველივე წრეში გამოჩნდა, როცა ნიკოლაი დავიდენკოს ძლევას მან უცნაურად ბევრი დრო მოანდომა და ერთ მომენტში ისე გალიზიანდა, მსაჯისგან შენიშვნაც კი დაიმსახურა.

მოკლედ: შვეიცარია რომ გარანტირებულ ოქროს ელოდა, ხოლო მთელი დანარჩენი მილეთი — ფედერერ — როდიკის საოქროვე შეხლას, ვერც ალპელებს მიერთვათ და ვერც სხვებს.

სხვათა შორის, მარცხისგან ძალიან შორს იმ დღეს არც თავად როდიკი მდგარა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მან შეძლო, წინა ოლიმპიადის ვერცხლოსან ტომი ჰაასისთვის სამი მატჩბურთი გაეარარავებინა და 6:4, 3:6, 9:7. ამ გამარჯვებაზე არანაკლებ როდიკს ვინძლო ის ამბავი გაუხარდა, რომ აწი მას ყოველი მოგების შემდეგ აღარ დაეკითხებიან — თქვენი და ფედერერის შესაძლო ფინალზე რას იტყვითო. მააშ!

რაც შეეხება ტურფათა ჩარდახს, იმის გამო, რომ ვინუს უილიამსისა და სლოვენი მატევჟიჩის მატჩი იმ დღეს გვიან მომთავრდა, ამ შეხვედრის შედეგთან (6:0, 6:0) დაკავშირებული ერთი საინტერესო ფაქტი მხოლოდ ახლაღა უნდა გამცნოთ. კერძოდ კი ის, რომ 1988 წლიდან — ანუ მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი ოლიმპიურ თამაშებს დაუბრუნდა — დღემდე არც ერთ მეჩოგნეს თავისი მეტოქე ასე არ გაუბუბლიკებია.



მარი პირსმა ათენიდან თვით ვინუს უილიამსი გამოისტუმრა

**ლევან ბელაურაძე**

18 აგვისტო

კაცები

**ფერნანდო გონსალესი** (16, ჩილე) — ენდი როდიკი (2, აშშ) 6:4, 6:4; **ნიკოლას მასუ** (10, ჩილე) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:3, 6:7 (4:7), 6:4; **ტაილორ დენტი** (აშშ) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) 6:2, 3:6, 6:2; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; **მერდი ფიში** (აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 4:6, 6:1; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:0; **ტომას ბერდიხი** (ჩეხეთი) — ტომი რობრედო (15, ესპანეთი) 7:6 (7:2), 4:6, 8:6

ქალები

**აი სუგიამა** (7, იაპონია) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 7:6 (8:6), 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე** (11, იტალია) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 6:7 (5:7), 6:1, 6:3; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ვინუს უილიამსი (6, აშშ) 6:4, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:3, 6:3; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — ჩანდა რუბინი (16, აშშ) 6:3, 6:1; **ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 6:4; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:0; **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5, 6:4

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს საქართველოს ნაკრების წევრს
დავით უგრეხელიძეს
დედის
გარდაცვალების გამო

ხელბურთი

კაცები

A ჯგუფი

ხორვატია 29:26 კორეა
ისლანდია 30:25 სლოვენია
ესპანეთი 29:26 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 91:79 | 6 |
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 90:82 | 6 |
| კორეა | 1 | 0 | 2 | 81:92 | 2 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 86:89 | 2 |
| ისლანდია | 1 | 0 | 2 | 83:90 | 2 |
| სლოვენია | 0 | 0 | 3 | 76:85 | 0 |

B ჯგუფი

საფრანგეთი 26:23 უნგრეთი
საბერძნეთი 26:25 ეგვიპტე
გერმანია 34:21 ბრაზილია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 88:53 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | 86:65 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 76:73 | 4 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 2 | 69:82 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 3 | 57:85 | 0 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 3 | 67:85 | 0 |

# ხორვატიამ კორეა ხაშივით შეირგო



ხორვატებმა სამხრეთ კორეა შებოჰვეს

ექვსგუნდიან ჯგუფებში ჯერ მხოლოდ მესამე ტურის მატჩები გაიმართა, მაგრამ უკვე რამდენიმე გუნდმა გაინაღდა პლეი ოფის საგზური.

პირველი მეოთხედფინალისტი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ხორვატია, რომელმაც გუშინ დილაადრიან (თამაში ათენის დროით ათის ნახევარზე დაიწყო) ხაშივით მოინელა წინა ტურში ოლიმპიურ ჩემპიონ რუსთა მძლეველი კორეა.

დაძაბულად წარიმართა უქულოების — სლოვენიისა და ისლანდიის დაპირისპირებაც. კუნძულელთა ნაკრების კარს კვლავინდებურად კი იცავს ხუთიოდე წლის წინ გაისლანდიელებული როლანდ ერაძე, მაგრამ ეტყობა, ამჯერდ ვერაა სათანადო ფორმაში, რადგან მხოლოდ რამდენიმე წუთით მოუწია მოედანზე გასვლა. როლანდის ახალმა თანამემამულეებმა დამაჯერებლად სძლიეს ექსიუგოსლავიელებს და საპლეიოფო შანსიც გაუჩნდათ.

ლამაზი სანახავი იყო ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის და უნგრეთის პაექრობა. ექსჩემპიონებმა მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში გატეხეს მადიართა მედგარი წინაღმდეგობა და მედლებისთვის მრძოლას აგრძელებენ.

ფეხბურთი

# ჰო, ასე არ შეიძლება

## ბერძნებს რეჰაგელი დააკლდათ

17 აგვისტო

კაცები

A ჯგუფი. III ტური

ს. კორეა 3:3 მალი
მექსიკა 3:2 საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ს. კორეა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |

C ჯგუფი. III ტური

არგენტინა 1:0 ავსტრალია
ტუნისი 3:2 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ტუნისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| სერბეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:14 | 0 |

მეოთხედფინალი

მალი — B2
D1 — ავსტრალია
არგენტინა — D2
B1 — ს. კორეა

სამხრეთ კორეამ, რომელიც მალისთან 0:3-ს აგებდა, ტამბურა ადამას საკუთარ კარში გატანილი გოლის წყალობით ფრე გაახერხა. მალელმა ტენემა ნდიაიემ ჰეთ თრიქი შეასრულა, მაგრამ ჟაე ჟინ ჩოს დუბლმა აფრიკელთა უპირატესობა შეამცირა. 64-ე წუთზე ტამბურა ადამამ თავით ბურთი საკუთარი კარის ბადეში გამოამწყვდია და ანგარიში გათანაბრდა. ორივე გუნდმა ხუთ-ხუთი ქულა დააგროვა და მეოთხედფინალში გავიდა. „მალელთა მესამე გოლმა კინაღამ გადამრია — თქვა კორეელთა მწვრთნელმა ჰო კონ კიმმა — ჩემი ფეხბურთელები ძალიან ნერვიულობდნენ, მაგრამ თითქმის უიმედო მატჩის სათავისოდ შემობრუნება შეძლეს.“ ამავე ჯგუფში მექსიკამ მასპინძლები დაამარცხა, მაგრამ კორეელებს ქულით ჩამორჩა. ბერძენმა ოლიმპიელებმა რეჰაგელის ნაკრებისგან განსხვავებით თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

მექსიკელები რაფაელ მარკესის წყალობით მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდნენ. ომარ ბრავომ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, იოანის ტალარიდისმა პენალტით შეაგდო, მაგრამ ბრავომ მალე კიდევ ერთი მიაყოლა. კამერუნელმა მსაჯმა დივინ ევემ ოთხი წუთი დაამატა შეხვედრას, თუმც ელინებს გასათანაბრებლად დრო აღარ ეყოთ.

ავსტრალიამ არგენტინასთან ანდრეს დალესანდროს გოლით წააგო, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავიდა, რადგან მასსავით ოთხქულიან ტუნისს ბურთების შეფარდებით აჯობა.

**ვაჟა ხუციშვილი**



არგენტინა ჯგუფურ ეტაპს უდანაკარგოდ გადაახტა

# ობიექტივი



ჩვენს არდახრჩობას გაუმარჯოს!



არ დაელამდე, გოგო!



გამარჯობა, გამარჯობა



პიკანტური ილეთი



ხომ ჰგავს სელაპს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

*პაოლო მალდინის იტალიურ ფეხბურთში ქიპი აქვს მოჭრილი და კარგად იცის, რომ სერია A-ში გუნდების ოცამდე გაზრდა მათ ევროშანსებს მინიმუმამდე ამცირებს*

# 20 ბევრია

## მალდინიმ გაბერილი სერია დაიწუნა



„ძალიან ხანგრძლივი ჩემპიონატი გამოდის, ბევრი სხვა ევროპული ქვეყნისგან განსხვავებული. ეს იმის საპირისპიროა, რაც საკუთრივ კლუბებს სურთ. მათ ხომ სათასო შეჯიბრებების ბოლო ეტაპისთვის კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა უნდათ. იდეალური ვარიანტი 16-გუნდიანი ჩემპიონატი იქნებოდა".

მოგეხსენებათ, ამ გაზაფხულზე სერია B-დან სერია A-ში ჩვეულებრივზე ორით მეტი გუნდი ავიდა და ამდენად ახალ ჩემპიონატს უკვე 20 გუნდი დაიწყებს. გუნდების ასეთი რაოდენობა იტალიური ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში 1951-52 წლების ჩემპიონატის შემდეგ არ ყოფილა.

„მართალია, თანამედროვე სერია A-ში სკუდეტოს რეალურ კონკურენტთა რაოდენობა სამამდე შემცირდა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც უშუალო შეხვედრები იქნება. არადა, ადრე ექვსი გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ სამეულს შეიძლება „რომაც" შეუერთდეს" — განაგრძო მალდინიმ სერია A-ზე საუბარი.

შემდეგ „მილანის" კაპიტანმა დასძინა: „და მაინც, ფავორიტები ჩვენ, „იუვენტუსი" და „ინტერი" ვიქნებით. ეს ორი ძალიან ძლიერი გუნდია, რომელთა სეზონისწინა ანუ დღევანდელ ფორმას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ძალიან ხშირად გუნდები ჩემპიონატს მძიმედ იწყებენ, რათა ბოლოს შეხვდნენ კარგ ფორმაში".

მოგეხსენებათ, „შავ-წითლებმა" რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი შეიძინეს მიმდინარე სეზონში. ერნან კრესპო, იაპ სტამი, ვიკაშ დორასო... საინტერესოა, რომ სტამის შეძენამ მალდინი შესაძლოა თავის ძველ პოზიციას, მარცხენა მცველის ადგილს დაუბრუნოს ანუ „მილანის" ძირითადში კახა კალაძის ადგილი აღარ იყოს.

„მე კარლო ანჩელოტის განკარგულებაში გახლავართ — ბრძანა ვეტერანმა — ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში დაცვის ცენტრში თამაშს მივეჩვიე, ისე კი, მარცხნივ მირჩევნია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდში სხვა დიდებული მცველებიც გვყავს და ხშირად არჩევანის გაკეთება არის საჭირო".

**ბაბუნა ქედია**

# აღარ წავყვები კაპელოს!



კრისტიან პანუჩი ამტკიცებს, რომ ის სულაც არ იქნება იმ ფეხბურთელთაგანი, ვინც „რომადან" „იუვენტუსში" გადავა. პანუჩისა და „იუვეს" მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ურთიერთობა კარგად არის ცნობილი. როდესაც კაპელო „მილანიდან" მადრიდის „რეალში" წავიდა, პანუჩიმაც იგივე გზა გაიარა. შემდეგ კაპელომ „რომა" ჩაიბარა და „რომაში" მივიდა პანუჩიც, ახლა კი ხალხში „იუვენტუსზეც" ალაპარაკდნენ, მაგრამ მცველმა შორს დაიჭირა:

„მე „იუვენტუსში" არასდროს წავალ. ვისაც ეჭვი გაუჩნდა, შეუძლია აქვე დაივიწყოს" — განაცხადა მან ტრიგორიას საწვრთნელ ბაზაზე.

შეგახსენებთ, რომ „რომადან" „იუვენტუსში" მწვრთნელს უკვე გაჰყვნენ ჯონათან ძებინა და ემერსონი.

**ბაბუნა ქედია**

*„პარმას" სატრანსფერო საქმეთა გამგებელმა, ცნობილმა სპეციალისტმა არიგო საკიმ განაცხადა, რომ ალბერტო ჯილარდინოს მიყიდვის პირობა არავისთვის მიუცია. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის გარშემო ჭორების ახალი ტალღა აგორდა. ამბობდნენ, რომ საქმე მომავალ ზაფხულს ჯილარდინოს „მილანში" გადასვლის შესახებ უკვე გადაწყვეტილი და მოკვარახჭინებულია*

# ეს ტყუილია!

## საკის ჯილარდინოს გაყიდვა დააბრალეს



„სკუადრა აძურას" ყოფილი მწვრთნელი კი ამტკიცებს, რომ ეს ტყუილია. ის სიტყვა-სიტყვითაც ასე ამბობს:

„ეს ტყუილია. მე ჯილარდინოს არავის დავპირებივარ. მსოფლიოში არ არსებობს კლუბი, რომელიც 2005-06 წლების სეზონისთვის დღეს იყიდის სეზონისთვის".

აქამდე ცნობილი იყო, რომ 21 წლის ვარსკვლავისთვის თავს „რომა" და „იუვენტუსი" იკლავდნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, მან ისევ „პარმასთან" გააახანგრძლივა კონტრაქტი.

„ჩვენ ალბერტოს შესანარჩუნებლად რამდენიმე ლირებული ფეხბურთელის ყიდვაზე განვაცხადეთ უარი — განმარტა საკიმ — ის ნამდვილი ვარსკვლავია და ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ".

ალბერტო ჯილარდინომ გასულ სეზონში 23 გოლი გაიტანა და იტალიის ყველაზე სასურველ სატრანფერო ობიექტად იქცა. დღეს იგი ათენში, ოლიმპიადაზეა.

**ბაბუნა ქედია**

ლონდონის „არსენალმა" რობინ ვან პერსიე გასული სეზონის დასრულებისთანავე როტერდამის „ფეიენოორდიდან" შეიძინა. 21 წლის ჰოლანდიელს ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში და ფორვარდისთვის საჭირო თვისებებიც აქვს. ბავშვობაში ვან პერსიეს კერპი დენის ბერხკამპი იყო, ახლა კი ისინი ერთად არიან „არსენალში". უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყმაწვილი ჰოლანდიელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

# ბერხკამპის მოსწავლე

## ვან პერსიე ლონდონში ნაცნობებს ეძებს



— ახალ გუნდთან შეგუება გაგიჭირდათ?

— აქაური ვარჯიშები ძალიან განსხვავდება როტერდამულისგან. თანატოლებთან ვთამაშობ, მაგრამ ვატყობ, რომ კლასით მჯობნიან, თუმც ფიზიკურად მეც კარგად ვარ მომზადებული. არ ვნერვიულობ. 21 ახლახან შემისრულდა და ყველაფერი წინ მაქვს.

— ლონდონში უკვე გცნობენ?

— წინა კვირას მეგობარი მესტუმრა. ჰოლანდიაში ქუჩაში რომ გავიდოდით, ქომაგები არ მასვენებდნენ და ავტოგრაფებს მთხოვდნენ. ლონდონში მსგავსი არაფერი მომხდარა. მეგობარმა მკითხა, როგორი „ვარსკვლავი" ხარ თუკი ვერავინ გცნობსო. ბედად, მეორე დღეს მაინც გამოჩნდნენ „არსენალის" გულშემატკივრები, რომლებმაც ავტოგრაფი მთხოვეს. მაშინ უკვე ჩემს სტუმარს ნიშნის მოგებით მივუგე, ხომ ვარ ცნობილი კაცი-მეთქი.

— წინა სეზონში „ფეიენოორდის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი რატომ დაკარგეთ?

— ჩემპიონატის პირველ წრეში მუდმივად ვთამაშობდი, მაგრამ გაზაფხულიდან სათადარიგოთა სკამზე დამსვეს, რადგან ჩემს აგენტსა და „არსენალს" შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ახლა მეტხანს თამაში მსურს, საამისოდ კი ოფლის ღვრა მომიწევს. მწვრთნელმა მითხრა, ვარჯიშებზე სოლ კემპბელისა და კოლო ტურეს დონის მცველებს თუ აჯობებ, ძირითად შემადგენლობაში მოხვდებიო. ვგრძნობ, რომ ვენგერი მენდობა.

— როგორ გეხმარებათ დენის ბერხკამპი?

— გასახდელში ჩვენი კარადები გვერდიგვერდ დგას. მას ათნომრიანი მაისურა აცვია, მე კი თერთმეტნომრიანი მერგო. ბერხკამპი ჩემი მასწავლებელია. ბავშვობაში მისი თამაშით ვტკბებოდი. ჰოლანდიაში ბერხკამპის გოლების ვიდეოკასეტა შევიძინე და როცა ვუყურებ, ვოცნებობ, რომ ოდესმე მეც შევძლო მსგავსი გოლების გატანა.

— სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში სხვადასხვა პოზიციებზე გამოგცადეს, თქვენ რომელი გირჩევნიათ?

— მეორე ფორვარდობა, მაგრამ მწვრთნელი რასაც დამავალებს, იმას შევასრულებ. „არსენალი" ხომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია. ამ გუნდის მხოლოდ მაისურის მორგება უკვე დიდი პატივია და რა მნიშვნელობა აქვს, მარცხნივ ვიქნები, მარჯვნივ თუ ცენტრში.

### საფრანგეთი

II დივიზიონი. III ტური

ბრესტი 1:0 ნიორი
შატორუ 0:0 ნანსი
დიჟონი 1:0 ანჟე
გრენობლი 1:1 ამიენი
გენიონი 1:0 კრეტეი
ლავალი 2:1 ტრუა
ლე ავრი 0:0 კლერმონი
მონპელიე 0:1 ლორიანი
ლე მანი 0:0 რეიმსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ბრესტი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| გრენობლი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| გენიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| რეიმსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ლორიანი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლავალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ტრუა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| დიჟონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლე ავრი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| მონპელიე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| კრეტეი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ნიორი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ამიენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| შატორუ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ლე მანი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| კლერმონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ნანსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ანჟე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# კარლ-ჰაინც რუმენიგე

## ჭიქა კონიაკი სიმხნევისთვის

## ჭამს, სვამს და ფულს არ იხდის





1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში კარლ-ჰაინც რუმენიგემ ფრანგებთან თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალა

დასასრული. დასაწყისი „სარბიელი“ №189, №190

სამი კვირის შემდეგ კალე ისევ მოედანზე იყო — „ბაიერნი“ ჩემპიონთა თასზე „მაგდებურგს“ შეხვდა. პირველ ტაიმში „წითელმა გერმანელებმა“ ორი გოლი გაიტანეს წითელფორმიანი გერმანელების კარში, მეორეში კი უდო ლატეკმა მოედანზე ჩვენი წერილის გმირი გაიყვანა და თამაშის დამთავრების შემდეგ ტაბლოს 3:2 შეაცივდა — „ბაიერნმა“ მოიგო.

მაგრამ ლატეკს სანერვიულო არ აკლდა, რადგან გერმანიის ჩემპიონატში მიუნხენელები თავისი ვარსკვლავური შემადგენლობიანად სამარცხვინო მე-14 ადგილამდე ჩაქვეითდნენ. მწვრთნელი ბორგავდა, არ იცოდა რა ექნა, ატრიალებდა და ატრიალებდა შემადგენლობას, ხოლო კალეს საკმაოდ ხშირად ტოვებდა სათადარიგოთა სკამზე. ერთხელ, გაღიზიანებულმა, ჰამბურგის აეროპორტში სიტყვა „რუმელფლიგე“ ახსენა, რაც მომაბეზრებელ ბუზს ნიშნავს და რამაც რუმენიგე გვარიანად შეურაცხყო.

„ეს რომ მაგონდება, მეცინება, მაგრამ მაშინ სიცილის გუნებაზე სულაც არ ვიყავი, მაშინ ცოფებს ვყრიდი და ლატეკისადმი პატივისცემა დავკარგე“ — იხსენებს რუმენიგე, რომელიც ცხადია, სიხარულით შეხვდებოდა იმ ცნობას, რომ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ნოიდეკერმა ლატეკს კარისკენ მიუთითა. საინტერესოა — თუმცა რუმენიგეს ამბავს არ ეხება — რომ ნოიდეკერი ყველა მწვრთნელს საშობაოდ ათავისუფლებდა სამსახურიდან. ასე გაუკეთა ზებეცს, ასე გაუკეთა კრამენს და ლორანტს და როგორც უკვე გითხარით, ასევე გაუკეთა ლატეკსაც.

თუმცა, დიტმარ კრამერის მოხსნამდე მაშინ დიდი დრო იყო. კრამერი ხომ ლატეკის ნაცვლად მიიყვანეს „ბაიერნის“ მწვრთნელის თანამდებობაზე და უნდა გითხრათ, რომ რუმენიგესთან დიდებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. საერთოდ, კრამერი ინტელიგენტური, ზრდილი ადამიანი გახლდათ. მას ფიფას მწვრთნელის რანგში 70 ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. მოკლედ, გამოცდილება ნამდვილად არ აკლდა და რუმენიგეს სასიხარულოდ მისი პაპობა, მამობა, მოძღვრობა და მასწავლებლობა ერთად იკისრა. საინტერესო რამეებს აკეთებდა — როდესაც კალემ „შტუტგარტს“ გოლი გაუტანა და „ბაიერნი“ დამარცხებისგან იხსნა, მწვრთნელმა, მაგალითად, მას ერთი ბოთლი შამპანური გაუგზავნა მადლობის ნიშნად.

ასეთი საინტერესო ამბავიც მოხდა: მიუნხენის ერთ-ერთ რესტორანში ქერა ახალგაზრდა გამოჩნდა, გვარიანად მოულხინა, ძვირი სასმელი და კერძები შეუკვეთა და ფულის გადახდის დრო რომ დაუდგა, გამოაცხადა, რუმენიგე ვარო. მოკლედ, თავი დაიპატიჟა. ერთი ხნის შემდეგ იგივე განმეორდა, შემდეგ ისევ.

რესტორნის პატრონს ასეთი კლიენტის ატანა მობეზრდა და პოლიციაში განაცხადა, კარლ-ჰაინც რუმენიგე მოდის, ჭამს, სვამს და ფულს არ მიხდისო. პოლიციამ რუმენიგეს მიაკითხა და თან წაიყვანა.

ამის გამგონე კრამერი გადაირია. და მთელი ღამის განმავლობაში პირადად იძიებდა მოქეიფე რუმენიგეს საქმეს, რაც, საბოლოოდ „ოხუნჯის“ გამომჟღავნებით, ხოლო ნამდვილი რუმენიგეს გათავისუფლებით დასრულდა. კალემ მადლობის ნიშნად მწვრთნელს ერთი ბოთლი ვისკი გაუგზავნა.

ახალგაზრდა კარლ-ჰაინც რუმენიგეს ვარსკვლავმა გამორჩეულად მომდევნო წელს იკაშკაშა, როდესაც „ბაიერნმა“ ზედიზედ მესამედ მოიგო ჩემპიონთა თასი. ფინალი გლაზგოში გაიმართა, ფრანგულ „სენტ ეტიენს“ აჯობა. აღსანიშნავია, რომ თამაშის წინ ექიმმა რიჩი მიულერმა კალეს ნერვიულობა შეატყო და... ჭიქა კონიაკი გადაახუხინა. ეს ჭიქა კალესთვის მოთელვასავით გამოვიდა. თამაშის შემდეგ, უფრო სწორად კი ბანკეტის შემდეგ, როდესაც „ბაიერნის“ ფეხბურთელები ნომრებში გაიკრიფნენ, მარტო დარჩენილმა რუმენიგემ და შვარცენბეკმა ჯერ ვისკი და კოლა შეუბერეს, მერე კი, როდესაც კოლა გათავდა, „ცარიელი ვისკით“ გააგრძელეს.

... 1975 წლის 2 სექტემბერს კალემ გერმანიის მეორე ნაკრების მაისურა ჩაიცვა და ჰელმუტ შიონს მოუსმინა.

— მისმინე — უთხრა მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა — თუ თავს გამოიჩენ, ვენაში წაგიყვან ავსტრიელებთან სათამაშოდ.

ჰოდა, რუმენიგემ ამ სიტყვების გამო ისე ინერვიულა, რომ საერთოდ ვერაფერი გააკეთა.

1976 წელს რუმენიგე ბუნდესვერში ანუ ჯარში გაიწვიეს.

„კრამერს ძალიან აღელვებდა, როგორ იმოქმედებდა ჩემზე სამხედრო სამსახური. საერთოდ ამომაგდებს კალაპოტიდან თუ კაცად ჩამომაყალიბებს — იგონებს კარლ-ჰაინცი — მაგრამ, როდესაც პირველად ყაზარმიდან გამოსულმა „ტენის ბორუსიას“ სამი გოლი გავუტანე, ხოლო მეორედ „ბაიერნს“ „ბოხუმთან“ 1:4 6:5-ად შემოვატრიალებინე, ის დარწმუნდა, რომ ჯარი ჩემზე კარგად მოქმედებს“.

ჯარის გამო თუ სხვა მიზეზით, კარლ-ჰაინც რუმენიგე მართლაც შეიცვალა, რაც მყისვე შეამჩნია შიონმაც და...

— კალე ჩვენ გუნდში საუკეთესო იყო — განაცხადა უელსთან 2:0 გამარჯვების შემდეგ.

1980 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, რუმენიგე გერმანელთა ნაკრების აშკარა ლიდერი გახლდათ. იმ წელიწადს გერმანელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ. აი, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კი მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა თავდამსხმელმა ვერასდროს მოიგო, არადა, სამ მუნდიალში მონაწილეობდა.

სწორედ კარლ-ჰაინც რუმინეგე გახლდათ მთავარი გმირი იმ სრულიად ლეგენდარული თამაშისა, რომელიც 1982 წლის ჩემპიონატზე, ნახევარფინალში გაიმართა. გფრ ფრანგებთან 1:3-ს აგებდა, მაგრამ შევიდა კალე მოედანზე და... პენალტებით გერმანელებმა გაიმარჯვეს.

ვერ მოიგო რუმინეგემ ტიტული 1986 წელსაც, როდესაც უკვე ფინალში, არგენტინასთან შეხვედრაში ჩაერთო მოგვიანებით და თავისიანებს ანგარიში გაათანაბრებინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დიეგო მარადონას გუნდმა მოუგო და თასიც მან აღმართა.

ბოლოს კი, კარიერის მიწურულს, მოედანზე „ბაიერნის“ შემადგენლობაში კალეს უმცროსი ძმა, მიხაელიც გამოჩნდა. ერთხელ მათ ნაკრებშიც კი ითამაშეს ერთად.

1984 წელს კალე სარეკორდო თანხად „ინტერში“ გაყიდეს, სადაც ალესანდრო ალტობელისთან თამაშობდა წყვილში, შემდეგ კი შვეიცარიულ „სერვეტში“ გადაბარგდა და იქ... ლიბეროდ გაატარა ერთი ხანი.

1988-89 წლების სეზონში რუმენიგეს ბებრის ყვავილობა დაეწყო, საუკეთესო ბომბარდირიც კი გახდა, მაგრამ ერთხელ რომ თქვა, თამაშს თავი უნდა დავანებოო, სიტყვა აღარ გადაუთქვამს.

1989 წლიდან კალე „ბაიერნში“ მუშაობს. ვიცე-პრეზიდენტია.

**პაპუნა ჭედია**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 15.45 | 001 | საჳთჰემპტონი-ბლექბერნი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 18.00 | 002 | ბირმინგემი-ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 18.00 | 003 | ჩარლტონი-პორტსმჳთი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 004 | კრისტალ პალასი-ევერტონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 005 | ფჳლემი-ბოლტონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 006 | ლივერპჳლი-სიტი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.00 | 007 | ნიჳკასლი-ტოტენჰემი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.15 | 008 | მანჩესტერი-ნორვიჩი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 009 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.05 | 010 | არსენალი-მიდლსბრო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი. IV ტური** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 101 | პრესტონი-შეფილდი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 102 | ბარნლი-ვჳლვერჰემპტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 103 | ქოვენთრი-მილჳოლი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 104 | ქრიჳ-ვესტ ჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 18.00 | 105 | იფსვიჩი-კარდიფი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 18.00 | 106 | ლიდსი-ნოტინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.00 | 107 | ლესტერი-ჳოტფორდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 18.00 | 108 | პლიმჳთი-სანდერლენდი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 109 | ქპრ-დერბი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.00 | 110 | რედინგი-როტერჰემი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 18.00 | 111 | სტოკი-ჯილინგემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 112 | ჳიგანი-ბრაიტონი | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| | | **ინგლისი. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 117 | ბრისტოლი-სჳინდონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 118 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 119 | დონკასტერი-ტრანმერი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 120 | ჰარტლპჳლი-ბლეკპჳლი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 121 | ჰალი-ოლდემი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 18.00 | 122 | ლჳტონი-ტორკი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 123 | დონსი-ბორნმჳთი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 124 | პიტერბრო-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 125 | ჳენსდი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.00 | 126 | სტოკპორტი-ბრედფორდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 127 | ჳოლსოლი-ბარნსლი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 128 | რექსემი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **ინგლისი. II ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 132 | ბოსტონი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 133 | ბერი-ჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 134 | დარლინგტონი-როვერსი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 135 | ლეიტონი-ოქსფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 136 | მენსფილდი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.00 | 137 | ნოტსი-იოვილი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 138 | რაშდენი-გრიმსბი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.00 | 139 | სკანთორპი-ლინკოლნი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 140 | შრიჳსბერი-ნორთჰემპტონი | 3,2 | 3,2 | 2,05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| 18.00 | 141 | საჳთენდი-კემბრიჯი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 142 | სჳონსი-ჩელტენემი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 143 | ჳიკომბი-როჩდეილი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 175 | დანდი-მოსერჳელი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.00 | 176 | დანფერმლაინი-აბერდინი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 177 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 18.00 | 178 | ლივინგსტონი-დანდი ოჳნაიტედი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.00 | 179 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,2 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,43 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 180 | ინვერნესი-სელტიკი | 10,0 | 4,6 | 1,25 | 3,15 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. III ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 183 | ერდრი-რეითი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 184 | კლაიდი-როსი | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,33 | 1,21 | 1,5 |
| 18.00 | 185 | ჰამილტონი-პარტიკი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 186 | ქჳინი-ფოლკირკი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 187 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. III ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 190 | ბერიკი-ბრეჩინი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 191 | დამბარტონი-მორტონი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 192 | ფორფარი-არბროთი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 18.00 | 193 | სტირლინგი-ალოა | 1,8 | 3,6 | 3,3 | 1,19 | 1,16 | 1,72 |
| 18.00 | 194 | სტრანრარი-ეარი | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. III ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 197 | ისტ ფაიფი-კოჳდენბითი | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| 18.00 | 198 | გრეტნა-მონტროჳსი | 1,3 | 4,6 | 7,0 | 1,01 | 1,09 | 2,77 |
| 18.00 | 199 | პიტერჰედი-ელგინი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 200 | ქჳინს პარკი-ალბიონი | 2,25 | 3,5 | 2,5 | 1,36 | 1,18 | 1,45 |
| 18.00 | 201 | სტენჰაჳსმჳრი-ისტ სტირლინგი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). V ტური** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 205 | კილი-არმინია(მ) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 206 | ვოლფსბჳრგი(მ)-ქემნიცი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 16.00 | 207 | ვჳპერტალი-დორტმჳნდი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). III ტური** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 210 | ფჳლენდორფი-დარმშტადი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 211 | შტუტგარტი(მ)-აჳგსბჳრგი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
